ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N4

14.12.2017 ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

16:00 საათი *ოთახი 2-01*

მიმდინარე წლის 14 დეკემბერს, 16:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გაიმართა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: გიორგი ჩაკვეტაძე (კომისიის თავმჯდომარე), მიხეილ ამაშუკელი (კომისიის წევრი), ავთანდილ ცინცაძე (კომისიის წევრი), დავით ჭელიძე (კომისიის წევრი), შალვა ოგბაიძე (კომისიის წევრი), დავით რურუა (კომისიის წევრი) და მარინა დათუკიშვილი (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ზაზა ცინაძე, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამდივნოს, საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომლები.
სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 7 (შვიდი) წევრის დასწრებით.
სხდომას თავმჯდომარეობდა - **გიორგი ჩაკვეტაძე**.

სხდომის დღის წესრიგი:

1. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (12-031734272-03, 08.12.2017) (**მომხსენებელი - ზაზა ცინაძე,** განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე);
2. **მიმდინარე საკითხები (მომხსენებელი - გიორგი ჩაკვეტაძე,** ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე)

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა კომისიის წევრებს და დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის წარმოსადგენად სიტყვა გადასცა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოადგილეს ზაზა ცინაძეს.

მოისმინეს:

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და ისაუბრა 2018 წლის ბიუჯეტში სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მიმართულებით განსახორციელებელი პროგრამების შესახებ.

ზაზა ცინაძე (მომხსენებელი)- მოკლედ ვისაუბრებ პროგრამების შესახებ, რადგან აღწერას და ბიუჯეტის პროექტს უკვე გაეცანით, შემდგომ კი მზად ვარ გავცე ამომწურავი პასუხები თქვენს კითხვებს. სპორტული ღონისძიებები (კოდი: 08.06.01) შეადგენს 3 000,0 ათას ლარს აღნიშნული ქვეპროგრამიდან ხორციელდება სპორტული ფედერაციების დაფინანსება, ასევე მუნიციპალური სპორტული კლუბების დაფინანსება და მერიის იმ ა(ა)იპ-ების სუბსიდირება, რომლებსაც კონკრეტულ პერიოდში ესაჭიროება კომუნალური გადასახადების დაფინანსება. რაც შეეხება შემდეგ მიმართულებას ეს გახლავთ მწვრთნელთა მხარდაჭერის ქვეპროგრამა (კოდი: 08.06.02) რომელიც 350 მწვრთნელზეა გათვლილი, როგორც მიმდინარე წელს და შეადგენს 2 296,9 ათას ლარს. სპორტული მოედნების მშენებლობა/რეკონსტრუქციის ქვეპროგრამა (კოდი: 08.06.03) განულებულია საქალაქო სამსახურის ბიუჯეტში, რადგან ტრენაჟორების მოწყობა-დამონტაჟების ფუნქცია შეითავსეს რაიონულმა გამგეობებმა და კონკრეტულ უბნებში საჭიროების მიხედვით მოახდენენ სამონტაჟო სამუშაოებს, ხოლო ორმოცამდე გარე მოწყობილობის ტრენაჟორი რომელიც სხვადასხვა ლოკაციაზე უკვე დამონტაჟდა საქალაქო სამსახურის მიერ, წარმოადგენს გარკვეულ სტანდარტებს, რომელიც იქნება შენარჩუნებული. სპორტული დაწესებულებების მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი: 08.06.04), აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში იგეგმება მულტიფუნქციური სპორტული კომპლექსების მშენებლობა, გამოყოფილია 5 888,0 ათასი ლარი, რომლის ფარგლებშიც მოხდება სამი კომპლექსისათვის საჭირო საპროექტო სამუშაოების შესყიდვა და აქედან ორი მულტიფუნქციური კომპლექსის სამშენებლო სამუშაოები დაიწყება 2018 წელს. წარმატებული სპორტსმენი ბავშვების ხელშეწყობა (კოდი: 08.06.05) დაფინანსდება 390,0 ათასი ლარით. რაც შეეხება პარასპორტის ცენტის ხელშეწყობის დაფინანსებას (კოდი: 08.06.06), რომელიც ერთადერთი ინკლუზიური ცენტრია ამიერკავკასიაში მცირედი მატება გვაქვს და შეადგენს 1 148,5 ათას ლარს. ახალგაზრდული ღონისძიებების ნაწილი (კოდი:08.08) შეადგენს 1 983,1 ათას ლარს, სადაც გათვალისწინებულია ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება და ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანების ხელშეწყობა.

აზრი გამოთქვეს:

შალვა ოგბაიძე -დაინტერესდა ნიჭიერი სოციალურად დაუცველი მოსწავლეების დაფინანსების საკითხით.

ზაზა ცინაძე (მომხსენებელი)- სოციალურად დაუცველი მოსწავლეების საცურაო აუზებსა და სპორტულ სკოლებში სწავლების დაფინანსება და სახელოვნებო მიმართულებებით მათი მხარდაჭერა ხდება ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის პროგრამის ფარგლებში, მომართვის საფუძველზე.

გიორგი ჩაკვეტაძე - დაინტერესდა ირაკლი გვილავას ბრძანების - ,,წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისების" პროგრამით, რომელიც წესის სახით არსებობს და რის მიხედვითაც ხელმძღვანელობენ აღნიშნული მიმართულებით.

ზაზა ცინაძე (მომხსენებელი)- პროგრამა ითვალისწინებს ქ.თბილისში რეგისტრირებული 18 წლამდე ასაკის წარმატებული სპორტსმენი ბავშვების მატერიალურ მხარდაჭერას.

არსებობს გარკვეული კრიტერიუმები, რაც ძირითადად გამოიხატება ნიჭიერი, პერსპექტიული სპორტსმენი ბავშვების მიერ მიღწეული შედეგებით 18 წლამდე. ასევე გვინდა შევიმუშაოთ

სპეციალური წესი, კონკრეტული წარმატების მიღწევის შემდეგ ფულადი ჯილდოს მოცულობით და თბილისის სახელით ქვეყნის მასშტაბით, თუ საერთაშორისო ასპარეზობებზე მიღწეული წარმატებებიდან გამომდინარე განვუსაზღვროთ სპორტსმენებს.

გიორგი ჩაკვეტაძე- დაინტერესდა მულტიფუნქციური ცენტრების ლოკაციების განსაზღვრის და სხვა დეტალების თაობაზე, ცნობილია რომ პროექტირებაზე მუშაობა უკვე დაწყებულია.

ზაზა ცინაძე (მომხსენებელი)- აღნიშნული ცენტრის ასაშენებლად საჭირო ფართობი უნდა შეადგენდეს არანაკლებ ნახევარ ჰექტარს, ასევე მოსახლეობისათვის მისასვლელად კომფორტული და მჭიდროდ დასახლებული უნდა იყოს, ლოკაციების შემუშავებაში აქტიურადაა ჩართული რაიონული გამგეობები და 2018 წლის იანვარში აღნიშნული ლოკაციები უკვე დაზუსტდება.

დავით რურუა -დაინტერესდა მულტიფუნქციური ცენტრის სპორტულ სივრცეებზე, კერძოდ კი საცურაო აუზის სტანდარტებით.

ზაზა ცინაძე (მომხსენებელი)-პროექტის შემუშავებისას შესაძლებელია პარამეტრების ერთობლივი სტანდარტის მოთხოვნა, რომელიც საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისობაში უნდა იყოს.

მარინა დათუკიშვილი - დაინტერესდა სპორტის ნაწილში სამი მილიონი ლარის კლების თაობაზე.

ზაზა ცინაძე (მომხსენებელი)-მოგეხსენებათ, რაგბის ოცწლამდელთა ჩემპიონატის ჩასატარებლად კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურთან ერთად აშენდა მუხიანის სარაგბო კომპლექსი და აღნიშნული სპორტული ინფრასტრუქტურის დასრულებიდან გამომდინარე აღარ დევს აღნიშნული თანხა პროგრამის ბიუჯეტში.

გიორგი ჩაკვეტაძე- 2017 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი სპორტის ნაწილში გახლდათ, 14 397,4 ათასი ლარი, რომელსაც გამოაკლდა ორი მილიონი ლარი რაგბის კომპლექსის დასრულებიდან გამომდინარე და შეადგინა 12 397,4 ათასი ლარი, ხოლო 2018 წლის ბიუჯეტი სპორტის ნაწილში შეადგენს 12 723,4 ათას ლარს, მატება გვაქვს მცირედით და ბუნდოვანია როგორი დაანგარიშებით ხედავს დეპუტატი სამ მილიონს, როცა რეალურად ორი მილიონია, ხოლო დაზუსტებული ბიუჯეტი კიდევ უფრო ნაკლები იყო 2017 წელს. რაც შეეხება ახალგაზრდულ ნაწილს 2018 წლის ბიუჯეტში მატებაა ორასი ათასი ლარით, წინა წელთან შედარებით. ჩვენ ვერ გავიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ ბიუჯეტში კლება გვაქვს, რადგან წინასაარჩევნო პრიორიტეტი, რომელიც მულტიფუნქციური ცენტრების აშენებას მოიცავს 2018 წლიდან განხორციელდება, სამი მათგანი ასახულია ბიუჯეტში.

ასევე სპორტული მიმართულებით გამგეობებზე გადასული ფუნქცია, რომელიც გარე მოხმარების ფიტნეს-ტრენაჟორებს და სხვა სპორტულ მოედნებს მოიცავს, უკვე მისამართების მიხედვით ასახულია 2018 წლის ბიუჯეტში, როგორც ის ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები, რაც თბილისის მასშტაბით უნდა ჩატარდეს, აღნიშნული ათივე გამგეობას კონკრეტულად აქვს საკუთარ ბიუჯეტში განსაზღვრული ლოკაციების მიხედვით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა :

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (12-031734272-03, 08.12.2017) საკრებულოს სხდომაზე გატანის საკითხი (მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, მიხეილ ამაშუკელი,

ავთანდილ ცინცაძე, დავით ჭელიძე, დავით რურუა , შალვა ოგბაიძე (6), წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - მარინა დათუკიშვილი (1))

ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტეს:

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარემ ,,ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 23-ე მუხლის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ივლისის N3-10 დადგენილების მე-8 მუხლის, მე-3 პუნქტის საფუძველზე, კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მოვალეობის შემსრულებლად კომისიას წარუდგინა დავით ჭელიძის კანდიდატურა.

ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტეს:

კომისიის წევრებმა ერთხმად მოიწონეს აღნიშნული წინადადება და მხარი დაუჭირეს, თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, დავით ჭელიძის კანდიდატურას კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის პოზიციზე.

გიორგი ჩაკვეტაძე- ისაუბრა კომისიის სამომავლო გეგმებზე და მიზნებზე, კონკრეტულად კი, კომისიის მჭიდრო მუშაობაზე, საქალაქო სამსახურთან, თემატურ სამინისტროებთან, პარლამენტის შესაბამის კომისიასთან და სხვა ადმინისტრაციულ, თუ არასამთავრობო უწყებებთან. ,,სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულების მნიშვნელობიდან გამომდინარე ვგეგმავთ განსაკუთრებულად აქტიურად შევუდგეთ მუშაობას. მოგეხსენებათ, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში შემავალი სპორტული და ახალგაზრდული ა(ა)იპ-ების მონახულება ძალიან მნიშვნელოვანია, რაც ფონიჭალის ახალგაზრდული ცენტრის მონახულებით დავიწყეთ კიდეც, წლის ბოლომდე სასურველი იქნებოდა პარასპორტის განვითარების ცენტრში კომისიური გასვლა, პარასპორტის პრიორიტეტული მიმართულებიდან გამომდინარე, მისი მნიშვნელობის გათვალისწინებით. ასევე ვგეგმავთ ყველა მაჟორიტარ დეპუტატთან შეხვედრას სამუშაო რეჟიმში, რომლებსაც ვთხოვთ პრიორიტეტების წარმოდგენას, საკუთარი სამაჟორიტარო ოლქებიდან გამომდინარე, რის შემდეგაც ოფიციალურად მივმართავთ საქალაქო სამსახურს და სხვა უწყებებს წერილობით. ასევე საინტერესო იქნება საერთაშორისო ორგანიზაციებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების ჩართულობა და შემდგომი წინადადებების მოსმენა. ვგეგმავთ ეროვნული ფედერაციებისა და თბილისის ფედერაციების ხელმძღვანელებთან შეხვედრას. პირადად ჩემი სურვილია, კომისია ქმედითად და აქტიურად მუშაობდეს სხვადასხვა მიმართულებით, მისი მნიშვნელობიდან და საჭიროებიდან გამომდინარე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე

გიორგი ჩაკვეტაძე